

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

მეცნიერების დეპარტამენტის

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

დამტკიცებულია სტუ-ს წარმომადგენლობითი
საბჭოს მიერ

-----2009წ

თბილისი

2009

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

მეცნიერების განვითარების ხელშეწყობის დეპარტამენტის

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

1. ზოგადი დებულებანი

- 1.1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მეცნიერების დეპარტამენტი წარმოადგენს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციის დამხმარე სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც საკუთარ საქმიანობას წარმართვას საქართველოს კონსტიტუციის, “უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების, ამ დებულებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
- 1.2. დებულება განსაზღვრავს მეცნიერების დეპარტამენტის ფუნქციებისა და საქმიანობის ძირითად მიმართულებებს.

2. ფუნქციები

- 2.1. დეპარტამენტი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამეცნიერო აქტივობის ინტენსიფიკაციისა და კოორდინაციის საფუძველზე უზრუნველყოფს უნივერსიტეტის დეპარტამენტებში და სამეცნიერო კვლევით ცენტრებში წარმართული ფუნდამენტური თუ გამოყენებითი ხასიათის კვლევების ხელშეწყობას და განვითარებას.
- 2.2. ტექნიკური უნივერსიტეტის მეცნიერებს უზრუნველყოფს საინფორმაციო რესურსებით, კერძოდ ინფორმაციით კონფერენციების, სემინარებისა და მოქმედი სამეცნიერო ფონდების შესახებ.
- 2.3. უწევს კონსულტაციებს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებს მათ მიერ სამეცნიერო სამუშაოებისა თუ საპროექტო განაცხადების გაფორმებისა და წარდგენის საკითხებში.
- 2.4. ახორციელებს ტექნიკური უნივერსიტეტის მეცნიერების მიერ წარმოდგენილი საპატენტო თუ სალიცენზიო განაცხადებების წინასწარ საპატენტო ძიებას, მოყავს მიღებული განაცხადების ტექსტი და ფორმა საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების დაცვის (საქპატენტის) დეპარტამენტის მიერ მიღებულ სტანდარტებთან შესაბამისობაში.
- 2.5. ახორციელებს სამეცნიერო დეპარტამენტის კუთვნილი ინტერნეტ გვერდის მუდმივ განახლებას და მასზედ ახალი ინფორმაციის პერმანენტულ განლაგებას.

- 2.6. უზრუნველყოფს სტუ-ში გამომავალ სამეცნიერო ნაშრომთა კრებულის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისობაში მოყვანას და მისი ელექტრონული ვერსიის ინტერნეტ გვერდზე განლაგებას.
- 2.7. უზრუნველყოფს სტუ-ს მიერ მეცნიერების ბაზური განვითარებისათვის გამოყოფილი თანხების განკარგვას მუდმივმოქმედი საკონკურსო კომისიის ჩამოყალიბების საფუძველზე.
- 2.8. დეპარტამენტის საქმიანობა ეფუძნება კვლევაზე ორიენტირებული განათლების მიღების ხელშეწყობას და უზრუნველყოფს სტუდენტი-ახალგაზრდების სამეცნიერო აქტივობას.
- 2.9. ორგანიზაციას უკეთებს საუნივერსიტეტო სამეცნიერო-ტექნიკური, სამეცნიერო მეთოდური და სხვა სახის კონფერენციების, სიმპოზიუმებისა და სემინარების ჩატარებას, გამოფენებისა და კონკურსების მოწყობას.
- 2.10. დეპარტამენტი, სტუ-ს სხვა სტრუქტურებთან კავშირში, თანამშრომლობს საერთაშორისო საგანმანათლებლო და სამეცნიერო ორგანიზაციებთან პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა მობილობის გზით საერთაშორისო კონფერენციებში, სიმპოზიუმებში და სემინარებში, აგრეთვე ერთობლივ საგანმანათლებლო და სამეცნიერო პროექტებში მათი მონაწილეობის და ერთობლივი სადოქტორო პროგრამების შესამუშავებლად.
- 2.11. კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებს სახვა ფუნქციებს.

3. დეპარტამენტუს სტრუქტურა

- 3.1. დეპარტამენტს ხელმძღვანელობს დეპარტამენტის უფროსი.
- 3.2. დეპარტამენტში სპეციალისტების რაოდენობა განისაზღვრება სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დამტკიცებული სტრუქტურის შესაბამისად.
- 3.3. დეპარტამენტის თანამშრომლებს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს რექტორი.
- 3.4. დეპარტამენტის უფროსი ანგარიშვალდებულია სტუ-ს რექტორის წინაშე.

4. დასკვნითი დებულებები

- 4.1. დებულება ძალაშია სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ მისი დამტკიცების მომენტიდან.
- 4.2. დებულება ძალას კარგავს ახალი დებულების დამტკიცების ან/და დეპარტამენტის ლიკვიდაციის შემთხვევაში.